საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრი

# ბრძანება N 2-25

14/01/2019

ქ. თბილისი

## დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭართალის ტერიტორიაზე, შპს ,,ენერგოტრანსი“-ს, 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ,,ქსანი-სტეფანწმინდა’’-ს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნის გაცემის შესახებ

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-9 მუხლის, ამავე კოდექსის II დანართის მე-3 პუნქტის 3.4 ქვეპუნქტისა და მე-5 მუხლის მე-12 პუნქტის საფუძველზე

**ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:**

1. გაიცეს დუშეთის მუნიციპალიტეტის სოფ. ჭართალის ტერიტორიაზე, შპს ,,ენერგოტრანსი“-ს, 500 კვ ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზის ,,ქსანი-სტეფანწმინდა’’-ს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებაზე სკოპინგის დასკვნა #62; 04.01.2019 წ.
2. შპს ,,ენერგოტრანსი“-მ სავალდებულოა გზშ-ს ანგარიშის მომზადება უზრუნველყოს #62; 04.01.2019 წ. სკოპინგის დასკვნის შესაბამისად;
3. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეგზავნოს შპს ,,ენერგოტრანსი“-ს;
4. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს ,,ენერგოტრანსი“-ს მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
5. სკოპინგის დასკვნის გაცემიდან 5 დღის ვადაში სკოპინგის დასკვნა განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და დუშეთის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე;
6. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი

მინისტრი